

კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 20.

მაისი 8, 1894 წ.

№ 20.


შინაარსი: ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გადაცელების გამო ის, რამიშვილისა, — ე. ნინოშვილის, ლექსი დეტუ მგერელისა. — გვ. ნინოშვილის სახეობად, ლექსი რ. საჯიბნელისა. — საყურადღებო ამბები. — ჭრელი ფიქრები ჩინოსანისა. — შენიშვნა აკაკისა. — აჯიბნე, სახალხო ლექსი, — ჩაწერილი თ. რაზიყაშვილისა, — ყვობის ელი. — ლექსი ჭიჭინაძის პატრონეგად გამართული საკრებულო შედეგისი. — ურიტყვა: ილია ჭავჭავაძის ლექსები. მკითხველს შენიშვნები სილოვანისა. — უჩაღი (მოთხრობა) თარხანისა. — მოდა. — განცხადებანი.

† მენაშე ინგოროყვას (ნინოშვილის) გადაცელების შემოქმედის

ქ აშინლა დაგვადონა და გული დაგვწყვიტა ჩვენი ახალგაზდა და ნიჭიერი მწერლის ეგ. ინგოროყვას (ნინოშვილის) გადაცელების ამბავმა. მის გამობრუნებას და მორჩენას კაი ხანია აღარ მოეცლოდათ, ეიცოდით მისი დღეები დათელილი იყო, მაგრამ ის ნუგეში მაინც არ დაგვკარგვია, რომ არ შეძლებულიყო მისი გამობრუნება. დღეს ეს ნუგეშიც მოგვაკვალა. საზოგადოების გულგრილობის გამო. სამუდამოთ შეწყვედა მისი სიყვარულით სასვე გულისცემა, შეჩერდა და ჩაკედა იმის თავში პატიოსანი და ბრწყინვალე აზრები; შეჩერდა საუკუნოდ საშინელი სენისაგან მისი დაცოცხილი ხელები, მოისპო იმ ადამიანის სიცოცხლე, რომელიც ძლიერ გაიმართა წელში და მომწიფდა საზოგადო დი-

ადი მოღვაწეობისათვის. არა ერთსა და ორს უმაღლესი ხელოვნებით დაწერილი თხზულებას შეჰქმენდა იგი ჩვენს ლიტერატურას, არა ერთ ნათელს აზრს ჩათესდა ჩვენი ხალხის კუთა-გონებაში.

— სწორეთ ამ ერთი კვირის წინეთ ვნახე განსვენებული მწერალი სასიკვდილედ მომზადებული. ღონე გამოლოვდა, თავის თავად ლოგინზე გვირდ ევლარ იბრუნებდა, ენა ჩაგვარდნოდა და საშინლად ბრიალებდა, ირჩობოდა. წელგაუს კატორიობისას — ქლეკს — უჩანასკნელ დღემდის მიეწურა მისი სიცოცხლე. მაგრამ ვასაოცარი ის იყო, რომ იმედებით მაინც აღესილი იყო, როგორც კარგად ყოფნაში: სიკვდილზე სრულიად არ ფიქრობდა და არც მო-



ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი)

ელოდა; მხოლოდ ნაღვლობდა, რომ დროებით მე-
შაობას მოცდა, სული ჰხდებოდა და ის კი პლანებს
აწყობდა, თუ რა უნდა გაეცეთებია; რა დაეწერა,
როგორ უნდა ებრძოლა უმცირების, რუტინის წი-
ნაღმდევ და როგორ გაეყვანა თავისი აზრები ცხო-
ვრებაში. ჩვენ კი გაცილებული ვიყავით, რადენ
სიმაღლემდის აღიდა რჩეულ ადამიანთა გულის-
თქმანი და სულის ლტოლივლებანი; რადენად იგი-
წყვეტი ისინი თავის პიროვნებას, ეტრფიან იღვას,
ჭეშმარიტებას, საზოგადო მოვალეობის ასრულებას,
ღიად, განსვენებულს ევ. ნინოშვილს რჩეულ კაც-
ებში ედვა წილი და უბრალო მომავლედვე გაცილე-
ბით მაღლა იდგა ყველაფრით. მისი ნიჭის შესახებ
აქ არას ვიტყვი, რადგანაც დაკვირვებული მკით-
ხველი მის ნაწარმოებში ხედავს ზეცით მონიჭებულ
მადლს, რომელიც თანდათან იზრდება, ძლიერდება
და ფართოვდება.

ერთი მოთხრობიდან მეორემდის ამ მწერალს
დიდი ზრდა და დახელოვნება ეტყობოდა, თითქმის
ყოველი მისი შემდეგი მოთხრობა გაცილებით მა-
ღლა დგას წინანდელზე. ექვი არ იყო, რომ ახალ-
გაზდა ნინოშვილი, თუ კი დაპკლოდა, ასეთი პრო-
გრამით იგლიდა კაი ხანს კიდევ თავის სამწერლო
გაზზე და მამასადამე, ადელი წარმოსადგენია, რა
მაღალ ადგილსაც დაიჭერად იგი ჩვენს მწერლობაში.
ჯერ უკანასკნელნი მისი მოთხრობანი „მოსე მწე-
რალი“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ ხომ ჩინებულნი
ნაწარმოებნი არიან და იმათვე ერთი და ორი ნაბი-
ჯით წინ გაცილებული მოთხრობები რაღა იქნებო-
და? რომ დაპკლოდა საცოდავს დამთავრება ერცლად
მოსაზრებულის მოთხრობის „მარტინის“, რომელიც
ამ ბოლოს დაიწყო, მაშინ ენახავდით იმის ნიჭის
ძლიერებას, მის შემოკმეგებობას ძალას—მაგრამ ყვე-
ლა ამაზე მეტია ლაპარაკი, რადგანაც ამას ყოველი
მკითხველი განსვენებულის ნაწერებისა თავისთავად
გაითვალისწინებს და წარმოიდგენს. ჩვენ სულ სხვა
მხარეს შევხებებით და იქიდან უფრო ადვილად და-
ვინახავთ, რა დიდი ნიჭის პატრონი კაცი დაეკარგეთ
ნინოშვილი. თუ არა დიდი გონებისა და ხასიათის
ადამიანი, სხვა ეერ დასამდებელს ეველა იმ დაბრკო-
ლებათა, რომელნიც ვარს ეტყვიან ნინოშვილს და-
ბადებიდან სულის ამოხდამე.—უკიდურესად ლა-
რბმა მამამ (დღეამ ჩვეულებამ) დააბოჯა ნინოშვიდი)
მიუბრა ავი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში,
რომელშიაც პირველ შაგირდთა ითვლებოდა. მესამე-
კლასამდის კარგათ მიღობდა; აქ კი წინ აღუდგა
ერთ თვალსაჩინო უსამართლობას სასწავლებლის
მმართველობისას, რომელმაც გამოიკცხა სასწავლე-
ბლიდან. ხელ-მოკლე გლენმა, მამა მისმა, თავისი

შეილი ევლარ მისცა სხვა სასწავლებელში და, აი,
ამ დღიდანვე იწყება პატარა ინგოროყვას ტრავე-
ვება. მას, უნუეეზოთ და უპატრონოთ დარჩენილს
ბედი ხან აქეთ სტყორცნიდა და ხან იქით, ათმა-
შებდა ბუთისავით და ტანჯავდა. რასაკვირველია,
ამასაც შეეძლო უტანჯველათ მოეწყოა თვისი ცხო-
ვრება, როგორც ამას ახერხებენ ათასი სხვები, მა-
გრამ საქმეც ის იყო, რომ სხვებს იგი არაუფრო
შავდა: ის სხვებსავით არც ფულის ეცებდა და არც
სინთიერ შეძლებას, არამედ ყოველთვის და ყოველ-
გან მისი სანატრელი საქმე და ზრუნვა იყო სწავლა,
სინათლე. იყო იგი ცოტა ხნობით სოფლის მასწავ-
ლებლად, კერძო სამსახურშიაც და ასე გასინჯეთ,
სოფლის მწერლად; მაგრამ რაკი დაინახავდა, რომ
ეს სამსახური აცდენს მას, მის პირდაპირ საქმეს—
სწავლის შექმნას, თავს ანებებდა. მისი მასწავლ-
სიღარიბეს ენა ვერ იტყვის, ორჯერ მთელი ზარსიყ
:რ გმია, მუდამ მშვიტი დაეხებებოდა საცოდავი. თუ
კი ორ გროშს იგდებდა ხელში, უტკველად ან წიგნი
უნდა ეყიდა, ან ეინეშ მისწავლეს უნდა მიხმარე-
ბოდა. კითხულობდა ძლიერ ბევრს და წაკითხული-
დანაც ბევრი გამოჰქონდა.

სწავლის სურვილმა იმდენად გაიტაცა, რომ ცო-
რიელი ჯიბით გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც სას-
წავლებელში უნდადა შესელა, მაგრამ დღიური ლე-
კმის შიგნა ართმევედ მთელს ღროს (დღიურად მუ-
შაობდა) და ისევე მალე დაბრუნდა საქართველოში.
დაბრუნებისას დაბინავდა თ. გრ. გურიელთან, რო-
მლის მდიდარი ბიბლიოთეკაც სულ გადაიკითხა. ამას
შემდეგ ის მსახურებდა ნ. ლოღობერიძის ქვაგუნ-
დის კანტორაში ზესტაფუნს; მაგრამ მალე შენიშნა,
რომ მამონის გულისთვის ბრძოლას მოჰქონდა მხო-
ლოდ შური, მტრობა, ავაზაკობა, საწყალი მუშა
კაცის დაზავება, მოტყუება; ზიზლით აივსო და გულ-
გატხილად წარმოთქვა: „თქვენი თქვენთან თქვე-
ნი“ და შემწირველია, მიანება თავი და გადმოვიდა
ტფილისს. აქ დაიქირავა ერთი მთელი ოთხი,
რომელშიაც გამუდმებით კითხულობდა და სწერდა-
მოთხრობის წერას ის აღმსცერად უყურებდა, თავის
ძალას გრძობდად უფრო სხვა სტერაში ლიტერატურა-
რისა—კრიტიკა-პუბლიცისტობაში, რომლისათვისაც
ამ ბოლოს ღროს ემხადებოდა და ფიქრობდა ასა-
რებზე გამოსეკლას. ამ უბრალო შენიშენიდან მკო-
თხველი ჰხდავს, რომ ამ კაცის ცხოვრება ერთი
გამუდმებული ბრძოლა იყო სინათლის გულისათვის
ათასწარი დაბრკოლებასთან. ადელი წარმოსადგენია
რამდენჯერ ჩაპკრავდა თავში გულს და ჩააჩოქებდა
ამ კეთილმოზილი აზრებით ხელს ცუცუბულს ნაზსა და
გრძობიარე კაცს დაუნდობელი ცხოვრება, რომე-

ლიც ყოველსავე უფრო ადვილად გაბატონებს, გარდა სწავლის ძებნისა და კეთილშობილური გატაცებისა, მაგრამ იგი მიიწე არ გატყდა, არ გაითელა, წამოდგა ფეხზე. ამდენი წაღმა-უყულმა ტრიალი ცხოვრებისა, ასობით და ათასობით სხვას ტენის ულაყებს, აჩერებებს. მას კი შესძინა საღი და სწორი მსჯელობა, მაგარი ლოლიკა და ტალსაეთი გაუტეხელი გული, ხოლო, სამწუხაროდ ჩენდა, თუმცა მან მიიღწია სულიერი სისალემდის, მაგრამ სამაგიეროდ დაპყრობა ჯანის სისალე, რომელმაც უმტყუნა და უღალატა იმ დროს, როცა იგი უფრო საჭირო იყო მითვის. ამ ნაჩრად ამდენმა აუტანელმა ტანჯვამ ორ-

ნაირი ნაყოფი გამოიღო: მოამწიფა და გაამდიდრა სული და მოუძღუნა და დაასუსტა ხორცი, რომელმაც მეტად ევლარ ზიდა ამ სიმატიური აღამიანის საიდუმლოებით სავსე სული და განშორდა. დიად უკეთესს სავანეს ეერსად იზოვიდენ ეს დაქანცული ძეგლები, თუ არ ცეცს სამარეს. სული მისი კი დარჩება სათაყვანოთ და სამაგალითოდ იმთ შორის, ვინც კი მოასწრო ვაცნობა ამ შესანიშნავის აღამიანისა. საუკუნად იყოს სხენება შენი, ყოველად პატიოსანო ეგნატე!

ის, რამიშვილი

2 მაისი, 1894 წელი.

ე. ნინოშვილის

(† 29 აპრილს 1894 წელს)



უყველასავან უარ-ყოფილი, და ცხოვრებისგან მწარედ დასჯილი, მხოლოდ ჩაგრულთა მუხამ შეგიტობო და შეგიყვარა, ვით დედამ შეილი; და შენც მთლად შენი სუსტი ძალ-ღონე

დავით მაგრაუა

3 მაისი, 1894 წ.

ეგნატე ნინოშვილის სასსოვრად



უღით მდიდარი, ქონებით ღარიბი იყო საწყალი; მაგრამ ამით მას სინდისი არ ჰქონდა შემონაცალი. დამეთანხმებით, რომ იმის ნიჭი ღირსია ქებისა, და მისი წმინდა სხეული ცრემლითა დანამებისა.

ნუ გინდა მარტო „ღაბლომით“ თუ ვინმე გვებერებოდეს; ჭირში არაფრად გეარგოდეს, ბარგათ კი გვეკიდებოდეს. ვინც უნდა იყოს, მოძმისთვის თუ ჭირი უჩანს ჭირადა, მას ჩაეთელით ჩენდა დიდებულ, ჩენნი აღდგენის გმირადა. შენც, ძმაო, სოფლის ცხოვრებას, მოამძეთა ჭირს და ვარამსა, გამოაფენდი საქვეყნოდ, ვატყობდით მაგ შენს კალამსა. გსურდა, რომ ყველას გავეცო, ვინ რითი იტანჯებოდა, ან ბოროტების ჩაღებით

ვინ და რა გეარად ჰტკებოდა.

ამას გეამბობს „სიმონა“, „მოსე მწერალი“ ვაქნილი, „რაინდი“, *) მასწავლებელი ჭკუით, გონებით გახსნილი.

საწუთრომ აღარ გაცალა, გამოგაცალა სოფელსა, გინადლებს ყველა ქართველი, მათი კეთილის მყოფელსა.

ვი, თუ უსაშველოებით სიკვდილმა გისწრო ბეჩავსა, ჩენ თავი რითი ეიმართლოთ, ღმერთთან რა გვეთქმის ბედშევა.

ყველას წესად გეაქვს ქართველებს, თუ კვდები, სარჩოს არ გაგვიწე! თუ მოკვდი, იმედო გქონდეს, ყველანი ქებას დავიწეებ!

რადგან შენცა ხარ ქართველი, შეგვიწედე, ჩემო ძამია, ასეა წულითა სოფელი, ცხოვრება, დრო და ყამია.

რ. ხაფიშვილი

*) ჩვენი ქვეყნის რაინდი.

საყურადღებო ამბები

ალოის გურიას ეწველა. მასრის უფროსად ელი-
ჩსა მას დიდიხნის გამოცდილი და ჩვენს სა-
ზოგადოებაში კარგად ცნობილი ბ-ნი კ. ზ.
ალშიბაია. შესანიშნავია ამ კაცის დახელოვნება სა-
ერო გამგეობაში. ბუნების ნიჭით უზად დაჯილ-
დოებული ბ-ნი ალშიბაია არის ქუადლის დეკანოზის
შვილი და მოწაფე მარტვილის ძველის სასულიერო
სასწავლებლისა, რომელიც იყო დადიანების დროს ქარ-
თულ ენაზე დაარსებული და საიდანაც გამოდიოდენ
სახელ-განთქმულნი ქართულის საღვთოწერილის
ცოდნითა და ქართულ მწიგნობრობაში დახელოვნე-
ბულნი საღვდლო და საერო მოღვაწენი ჩვენის ქვე-
ყნისა. ერთი მათგან ღღესაც ვარსკვლავად მოჰქია-
უობს შქის უდაბნოში. ეს არის ბ. კ. ალშიბაია, შე-
სანიშნავი მჭერმეტყველი ქართულ ენაზე და ჩინე-
ბული მოღვაწე, რომელსაც ნამდვილად შეტკეოა გუ-
ლი თავის სამშობლოსთვის.

ჯერაც არ არის დაეწეებული მისი საკერძოლი
ზედ-გაუღენა მჭერმეტყველური ქადაგებითა ზონის,
მათხოვის და ჯიხარის სოფლის საზოგადოებათა ხა-
ლხზე. 1884 წელს, როცა საქირო იყო, საერო სა-
შუალებით რკინის გზა გაყვანილიყო იანეთიდან მა-
თხოჯამდის, მისი ქადაგების მეოხებით მთელმა ხუთმა
სოფლის საზოგადოებამ, თავადაზნაურობამ და
გლეხობამ, ნობარული ხელ-შეკრულობა მისცა იმ
დროის კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის საზოგა-
დოების წარმომადგენელს ბ. გ. ე. წერეთელს, რომ და-
ეთმოთ უსასყიდლოთ რკინის გზის ლიანდაგისათვის
და სადგურებისათვის სამყოფე ადგილი, მიეცათ უსა-
სყიდლოთ მასალა, ე. ი. საკირე და საშენებელი
ქვა და ლიანდაგზე მოსაყრელი ქვიშა. აგრეთვე მთე-
ლმა ეაკის საზოგადოებამ ერთხმად შეადგინა განა-
ჩენი, რომ მიწის მუშაობა ამ რკინის გზისა უსასყი-
დლოთ ეტვირთათ თვით მცხოვრებლებს. ჯერ ამისთა-
ნა რამე საქმე არ მომხდარიყო ჩვენს ცხოვრებაში,
რომ მთელი ხალხი შედგამოდეს ქვეყნის საქირო
საქმეს ასე ერთსულობით და დიდის მსხვერპლის
შეწირვით. მაშინ სწორეთ ბ. კ. ზ. ალშიბაიაზე ას-
რულდა ხალხის ანდაზა: „გველსა ხერხლით გამო-
იყვან ენა ტბილად მოუბარია.“

ეს წარსული ამბავი მოგვაგონა ჩინებულ-
მა სიტყვამ, რომელიც წარმოუთქვამს მას ხალხისა და
მაღალი წოდების წინაშე ოზურგეთში. ის ჩინებუ-
ლად იცნობს თავის წრის ხასიათსა, მის კარგსა
და ცუდს მხარეებს.

— ძალიან მცირე ალაგიდან დაეწეე სამსახურიო,
ეთქვა ბ-ნი ალშიბაიას გურულებისათვის — და ამ
კიბის ყველა საფეხური კარგათ ეციო. სხვა რომ
არაფერი იყოს, ასე გაისინჯეთ, ნაღიაკნარიცა ვარ
და ძალიანაც რომ მოინდომოთ, მინეც ეერ მომატ-
ყუებთო“. ჩვენ მიულოცათ გურიას ასეთი მასრის
უფროსის განწესებას. სრული იმედი გვაქვს, რომ
მისი გამგება გულს დაუშვილებს გურიის ხალხს,
განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება მისი შრომა
სკოლების წარსამატებლად. ეინეც კ. ალშიბაიას წა-
რსულად ამ საკველ-მოქმედო საქმისა იყვენ ბბ. ასენ
კალანდაძე, ანტონ მაკალატია და კოსტანტინე ხა-
ხანაშვილი, რომელთა მეყადინეობით ორს დღეში
სამოც მანეთამდის შეგროვებული ფული გაუწაწი-
ლეს 30-დის ღარიბ ოჯახებს სააღდგომოდ საჩუქად
შემწეობის მიმღებნი ღიად მადლობელნი არიან,
როგორც ამ საკველ-მოქმედო მოთავეებისა, ისე თვით
შემწერებლებისა. ძალიან კი იქნება, რომ ჩვენი
საზოგადოება არა თუ მარტო სააღდგომოდ, არა-
მედ სხვა დროსაც ზრუნავენს ბედ-დაზარულ ოჯა-
ხების ვასუშუაბესებლად.

გორის სამოქალაქო სასწავლებელთან შემდგენს
ენკენისთვიდან გამართული იქნება პრაქტიკული
სამეურნეო ვარჯიშობა. მოწაფეებს შესწავლიან ბო-
სტნის კეთებას.

საერო სკოლათა ინსპექტორის ბოგდანოვის გუ-
ნკარგულეებით ამ საქმეს კისრულობს ინსპექტორი
ამ სასწავლებლისა ბ. ტ. მამალაძე, რომელიც ამ
საქმეში დახელოვნებულია.

დღეს 8 მაისს ს. ნირგვეთს (გურიას) დასაფლა-
ვენებნ „ქალის“ მუღმიე თანამშრომელს ეგნატე
ინგოროყვას, დაუეწყარს ბელეტრისტს ნინოშვილს.
ქალაქიდან ემხადებთან რამოდენიმე პატრისსემელნი
მისი ნიჭისა. აკელოს“ რედაქციას გარდა ვიოგვი-
ნებს ზესანთან კიდეც „Новое Обозрение“, „მოამბის“
და „იფერიის“ რედაქციები, აწერა-კითხვის გამგეობის
საზოგადოება“ ასოთ-ამწყაბნი, ტფილისის ქალენი,
ქართელთა და სომეხთა ახალგაზობა და სხე.

დღეს თორმეტ საათზე დილით აკელოს“ რე-
დაქცია ვადიხდის ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდს
ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) სულის მოსახსუ-
ბლად.

ჭ რ ე ლ ი ფ ი ძ რ ე ბ ი

მართვალ სოლომონ ბრძენმა მოინდომა შეეცნო, თუ რამოდენა გზა არის ტყუილსა და მართალს შუა? სამი დღე და ღამე არც უსესამს, არც უტყამია და არც ძილი მოჰკიდებია, ჰფიქრობდა, მაგრამ ვერ გამოიანგარიშა?—მამინ მოვიდა მასთან ერთი უბრალო, საწყალი ეინმე და მოახსენა: „ღიდებულო მეფე და ბრძენა-ბრძენო!—მაგის გამოანგარიშება როგორ გატკირებიათ? განა არ იცით, რომ ტყუილსა და მართალს შუა მხოლოდ ერთი ხელის დადებაა?“. დაიდგა ხელი ყვრილზე და ხელმაც მოაკავა ადგილი ყუროდან თვალამდე. „აი, ბატონო! ყურით გავიხილი ნუ გვეჩათ და გწამდეთ მხოლოდ ის, რაც თქვენი თვალთა ნახათ. „ყური ტყუილია, თვალი მართალია“. გაიცინა სოლომონმა და ჰქვია: „ბრძენი ის კი არ ყოფილა, ვინც მარტო თავის ჭკუეზე დადის, ის ყოფილა, ვინც სხვებსაც დაეკითხება ხოლმეო.“ ამ ამბავს შემდგენ ვინ იცის, რამდენ საუკუნეს გაუტრბენია. ეს ამბავი ძველთა-ძველია, მაგრამ დღესაც კიდევ წინ ძველთა-ძველი უგუნურება ეღობება: ქვეყნას ჰგონია, თუ ჭკუიანი შეუცდომელიაო!.. განა შეიძლება იყოს მისთანა ჭკუიანი, რომ ხანდახან სულელურად რამ არ წასცდეს? და ან მისთანა სულელს, რომ ზოგჯერ, უნებურად, ჭკუიანურად არა წამოროშოს რა? გარჩევა უნდა და დანახვა, მაგრამ, ვაი, რომ დღეს უფროს უფრო რწმუნება აქვს თვალზე და ნასწავლი და ჭკუიანი ორივე ერთი გვეგონია, ანუ უფრო გარკვევითა ვთქვათ: ყოველი ნასწავლი ჭკუიანი გვეგონია და უსწავლელი უგუნური.

ცხოვრება კი სულ სხვას გვიჩვენებს: ბევრი უჭკუო კაცია ნასწავლი, რომ წიღმა-ტყუელმა ქარაფინდაბს და ბევრი ჭკუიანიც, რომ უსწავლელობით ხელ-ფეხში ბოროკი უყვრია.—ჭკუიანი და ნასწავლი კი ორივე ერთად ჯერ ჩვენში იშვიათია!.. სწავლა და ცოდნა გრძობა-გონების მასალაა!.. თუ გრძობა-გონება არ იქნებინა, მასალა რაღა გამოსადგება? თუ კაცს ხელობა არ ეცოდინება, ქვეყნის მასალაც რომ შევაროვოს, რას არცებს? რას აწმენებს? და აგრეთვე უწარჩინებულესი ხუროთმოძღვარიც რომ იყოს, უმასალოთ რას გააკეთებს?—კარგი ის არის, როცა ჭკუა და ცოდნა ორივე ერთად შეეკავშირდება! ერთს მეგრელს უთქვამს: „ჭკუა მასპინძელია და სწავლა კი მოსული სტუმარია. თუ მასპინძელი მწყურალათ არის და ღირსეულად ვერ დაუხედა მასულს სტუმარს, მაშინ აღარც სტუმარი მოიცილოსა“. ერთმა ჩვენმა მწყურალთაგანმა, კიდევ უფრო სათვალდათვალთ ჰქვია: „ჭკუიანი კაცი, მაგრამ

უსწავლელი და უმეცარი ჯაჭვით დაბმული ლომიაო და უჭკუო, მაგრამ ნასწავლი კი მალა-მალა მფრინავი, ქარის სფაფრფატო კაქკაქოა“. მართალია! განა ცოტასა ვთვარდებ ჩვენში ერთსა და მეორესაც? დაბმულები ღრუნენ და ფარფატები თავზე დასხზავინა!..—ბოღშე ვინძი მკითხველთან, რომ აქ სიციხე ნაკრავიეთ, ებოდაე, მაგრამ რა ექნა? ქვეყნის უსამართლობა მაცხარებს: ვისაც ჯერ კიდევ ჩოხა არ გაუხდია და ისევე ქალამნები აცვია, კაცთ აღარაინ ავდებს!.. გახუძლითო! თვალი დახუჭეთ და რაც ყურში ჩავაბახთ, ჭურვიეთ, თქვენც ის ამოიძახებთ ხოლმეო!—თქვენ ჩოხიან-ქალამნიანებს რა გეცნობთ, რომ საზოგადო საქმეებში ერევიეთ?—ლომობას როგორ დაიჩემებთ, მაგრამ დაბმული ლეკები ხომ ვართ და სადამღისაც საბელი მისწვდება, კიდევ ლეკვი აჯობებს კაქკაქს!..

შინაურ საქმეებში, იმ ახლო-მახლოს, სანამღისაც კი მიწვევებთ, ჩვენ ჩოხიან-ქალამნიანები, რათ არ უნდა გვეკითხებოდეს რამე? ნუ თუ ჩოხის ჩაცმა საძრახისია?..—ჩვენ წინაპრებს, იმ დაუფიქვარ გმირ მამულიშვილებს, განა ფრაკ-მუნდირები უშეწინებდა გულ-მკერდს?, თვით ღიდებულს—მოძღვარსა, მის მოციქულებს და მოწაფეთა გუნდს ხამლები ე. ი. ქალამნები არ ეცათ? გარეგანი სიღარიბე ნიშანი არის არის შინაგანი სიმდიდრის; მაგრამ ვაი, რომ დღეს ეს ყველას ავიწყლება და ჭკუა გიბე ჰგონია, სინი-დისი—გაწმენდელი ფრაკ-მუნდირი და სწავლა თუთუ-ყუშობა!.. ამ მოკლე-ხანში ერთ ლხინში დავესწარით ოთხიოდე ჩოხანსებეც: ორი ვანო და ორი მინა, სულ ოთხი ტუტია!.. უნდა გენახათ, რა მედიტორბით გვეკიდებოდენ ფრაკსან-მუნდირსანები!.. სულ აბუჩათ ავივადებს!.. „რა თქვენი საქმეა, საზოგადო საქმეებში გარევაო!.. თქვენ რა იცით და რა გვევებათო!.. ქვეყანა თქვენ არ გინახეთ, სწავლა თქვენ არა გაქვთ რა და სხვანია და სხვანიაო!“ ერთმა მათგანმა მაინც სული ამოგვართვა: ერთი ორი ჰიქა რომ გადაჰქრა, რაც გულში რამე ჰქონდა დაფარული, სულ წამოროშა... ჩვენ, აბა, რას შეეკარებდით. მაგრამ ვანომ კი ველარ მოითმინა... ცოტა პირ-მოხეული კაცია... დაიკლავა ერთი ლახათიანთ და მიუზბურდა; „დალიცილო, მალა-ფარდებს რომ ებოტინებთ, ჯერ ის გვიბძანეთ, რასა სჯამთ და მე-რე ჩვენ გიპასუხებთო!

— როგორ თუ რასა ეკამთო? დაეკითხა გაკვირვებით ფრაკსანი.

- დაილ. რა არის ეგ ხელში რომ გიჭირავთ?
- ჰური.
- რასა სჯამთ?
- ღვიწას.

— კეთილი! — შეგიძლიათ, ამისნათ, რისგან არის შემდგარი, ან ერთი ან მეორე?

— რა? ახლა გნებავს, რომ ქიმა გასწავლოთ!

— ნუ ირჯებით! მაგის ქიმა მეც კარგათ ვიცი? რას იტყობ?

— იმას, რომ გცოდნიათ!.. არ შეიძლება ჩვენს გეობძაოთ, რისგან არიან შემდგარი?

— ჩვენი ხორცისა და სისხლისაგან!

— ეგ რომელ წიგნიდან, რომელ სახელმძღვანელოდან ამოგეკითხათ?

— იმ წიგნიდან, იმ მამა-პაპის სახელმძღვანელოდან, რომელსაც ღღეს თქვენ ხელს ალარა ჰქონდათ და ვერ კითხულობთ!.. ეს წიგნი არის ჩვენი ქვეყანა და მისი კაბადან-ფურცლები კი ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი!.. — აბა, თუ შეიძლება ისე ბიჯის გადადგამს, რომ ფეხი ჩვენი ძველების წმინდა სამარეზე არ დადგათ? ჩვენი ყანები, ჩვენი ხედაბუნები, ჩვენი სახანვე-სათესი ადრეები, ჩვენი მამა-პაპის სისხლით არიან მოპოწყოლი და მათი ძელებით დაპოხიერებული და არა სხვებისავით ნესებით ნაპატრები!..

— შერე რა?

— ის რომ ღღესაც კიდევ, ამ პურ-ლეინაში, მათი წმინდა ნაწილია შერთული!.. და უგუნურებით არ მოსდის ჩემს გულსებს, რომ პურის მადლს ფიცულობენ და ემთხვევიან ხალმე. ეს ჩვენი ქვეყანა, ეს ჩვენი მიწა-წყალი, ეს ჩვენი მამა-პაპების ანდრძი, ღღეს მხოლოდ ჩიხა-ქალაქიანებს გერწამს და გეიჭირავს ხელში, ეს ჩვენი ერთადერთი წმინდა-წმინდაა ჩვენ გულში და თქვენ კი ერთთავად გინდათ ჯიბეში ჩაიდეთ. ღღეს სისხლის დრო აღარ არის და ჩვენც ამ გმირების სამარეს შრომის ოფლს ზედ ვალერით და თქვენ კი მხოლოდ შამანური შეგიძლიათ დაქლვართ! — მხოლოდ ჩვენი ქალაქნები იკიდებენ ფეხს ამ მიწა-წყალზე და თქვენი ჩექმები კი სხვის პარკეტზე დასრიალობენ.

— გეტყობათ, რომ თქვენ ტრამპანობის გუნებაზე ხართ!.. მაგაზე ვინ რას გუუბნებთ?

— ეინ რას გვეუბნება? თქვენ არა ბრძანეთ, რომ ჩიხიანებს ნება არა აქვს საზოგადო საქმეში გაერთიოს!.. — არა იცით რა, არა ვაგებებთ რა?

— გარედაც არის და გარედაც!.. ყოველ საქმეს წინ პატრისნება უნდა მიუძღოდეს!.. შვეით უნდა მიხვიდოდეს კეთილ საქმეზე უნაგაროთ და არა სხვების რჩევითა და შემწევობით.

— როგორ? მე რომ თვითონ ღონე არ მქონდა, აღარც სხვას უნდა ვთხოვო, რომ შილონოს?.. ძველათ, როდესაც უნდა ვთხოვო საზოგადო საქმე საღმე გამოჩნდებოდა, ყოველი კუთხიდან იქითვე მიიწეოდნენ, მიდიოდნენ, ქართველები... მაშინ გზა ადვილი იყო, თითოეული მათგანი ვალდებულია ფარხმალს. შეჯდებოდა ცხენზე და ერი ჰა!.. მიეშურებოდა... თუ თითონ არ ეყოლებოდა ცხენი, მეზობელსა ჰთხოვდა, ხელს მოინაცვლებდა და ვერცარავინ დაპირახედა. — ღღეს ცხენი პატარა ბილეთით ვადაცვალა. თუ საშუალება არ მექნება, რომ ის პატარა ბი-

ლეთი შევიძინო, რატომ არ უნდა მივიღე ჩემს მოძმესთან ჩემისთანა ჩიხიანი და არ ვთხოვო: „არ მინდა, რომ საზოგადო საქმეს მოვსწლო... სურვილი მაქვს, რომ დავეწერო მეც იქ, სადაც ჩემი ქვეყნის ბედი ჰყვლება და ხელი ვაიმიძრეთ ღღეს, რომ მეორეთ მეც ვავიძაროთ და მეც ისე დავემხარო, როგორც ღღეს შენ მენმარებო-თქო. აქ შემეცხენი და სამძახისი რა არის!.. ამას ეძახით თქვენ თვის გაყიდვას. — ვინც ძველათ თავის საკუთარი ცხენით არ მივიღოდა მოპირდაპირეზე და ნათხაგარი ეყოლებოდა, მაშ ვასაკეტი ყოფილა თქვენი აზრით!.. არა, ბატონო, თქვენ ვინდით, რომ აქვე სახლიდან ფეხ-ვაშაუდგმელოდ დამთხაროთ თვალები, ამომგლიჯათ ენა, დამაშურჯოთ, დამაყრუოთ და დამარბოთ, მევე ე. ი. ჩიხიან-ქალაქიანს, მანდა რომ ავღობზე მივიღე, ჩემი თვალთა ენახო ყოველივენი ჩემი ყურით ვაგეგორო, ვეწრან-დეწრანო, ვაგეზომო და მერე ისე გადავტარო!“ ამ სიტყვებმა ძალიან დააღონეს ფრაკსანი“. ის ფიქრობდა თავის გუნებაში: „ეს ღღემული ლეყვი, რა ცხარედა ჰყვესო!“ და უნდოდა თავის საკეკეკოზე გამოსულიყო, თუთიყუშობა დაეწყო, მაგრამ აღარ დააცალეს. — მისამ დაირჩას დაავლო ხელი და ჩვეულებრივად ზაითი შემოძახა:

როგორც რძალი და მულია, ისე კუჭი და გულია: ერთმანეთს ენხუბებია!.. ორივე დაზარულაია.

კუჭი-გულია უძლები; გული კი პატარ-ძალია; გრძნობს და სიყვარულს უნდება, ქამისთვის არა სცალია!

ვით მამამთილი, ორივეს იმათ ყურს უდევებს გონება! — ვინც ვაიმიძრავებს, იმისკენ ვადაღის და ემონება.

ქვეყანაც მამამთილია, რძალ-მული — ქვეყნის შეილება: ზოგს სიყვარული ამცირებს და ზოგს კი მუცელ-კბილები!

ბრძოლაა ვაუსხლებელი მხოლოდ კუჭის და გულისა ქვეყნის ურგები პირები, როგორც ჩილისა და მულისა.

ჩიხიანია

*) ეს ამბავი თავიდან ბოლომდე შექცება აქერქო! და არა იმერეთს, სადაც სულ სხვა წესი და რთვაა. ავაჭ

აზატხანი და ერეკლე

(ქართლში გაგანისი ბუქსა შატაშვილისგან და ჩაწერილი თ. რაზივაშვილის მიერ)



სე აღიღდა აზატხან,
თავი ძირს აღარ დაიღო,
აქ მე ვარ, სტამბოლის ხონთქარი,
ყვენი ჩემთან რა იყო.
განჯის ხანს შემოუტია,
სურსათი ბევრი აიღო;
გოქჩის ტბაზე რომ ჩავიდა,
იქ ავღნის ჯარი მდგარიყო.
ავღნებმა შექენს ჩოჩქალი,
გუშინ ერეკლეს თქმა იყო...
ერთი ავღნების უზბაში
ოქროს უნაგირს მგდარიყო:
ამისთინ გურჯები მომკლენ,
ცხენიდან ჩამომხდარიყო.
ეს სიტყვა რომ დამთავრა,
ერეკლე წამომდგარიყო.
საქრისტიანოს გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო.
ერეკლემ რომ ცხენი გასძრა,
სისხლმა გაიღო თქაფანი,
სისხლისა შედგა მორავეი,
ცხენს შეეღებდა ფაფარი,
უკრავად ეკას მოჰკლავდა,
იმისი ცხენის ქაქანი.
ისეთი ვარბის აზატხან,
როგორც ხორასნის ჩაფარი,
ერეკლე უკან მიჰძახდა:
„მოსვლა და წასვლა რა არი?“
— რას მომდევ, გურჯო ერეკლე,
რა მიმაქვს შენი დევალო,
ყველა მანდ გამაშვებინე,
თოფი და ჯაბარხანაო,
იმდენი არა მიმდევსრა,

სადილი ვეკაო ხეალოა! *)
— აკრე მოგდევ თავრისამდე,
ეთი წყახარი ვარიელსა;
ცხენ-ჯორებს დაგაკრეინებ
ტუა ნაღებს, ინიანსა
სუყველაში გავაცრუებ;
გაკისტუმრებ ცარიელსა!...
ხუნძახმა ცხენსა მიჰმართა,
მუხლი ვერ გაიტანაო,
კულქეშმა სდებდა ლაგამსა,
თავი სად დამეალოა.
ისე შემინდა ხუნძახი,
ველარ ჩაიცივა ჩუსტური,
მე აქეთ აღარ წამოვალ,
ქართველთ ჰკოლნიათ ხუსტური!

*) „რას მომიდევ გურჯო ერეკლე...“ ეს ქექსი სტრეიქინი მე მაქვს კრებულში ჩაწერილი სრულებით აზრ შეცვლით. იმას რომ ყუფი უგდას გავმა; იფიქრებს ნამდვილად, ვითომ აზატხანს ერეკლე გაქმნიოს და არა ერეკლეს აზატხანი, ამიტომ ჰმართებს მაიუბედეს ერის რომელსამე ვარიანტს არ ერეკლეს, ვიდრე ყველა ვარიანტები არ შეადარონ, მომეტებულად, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როცა ლექსი ისტორიულია. საღვს მღვინ აზიანი გემოვნება ჰქვს, მასი ყური ტკბილ სიმოკანებისა და აღმთრებით აღმოთქმული სიტყვის ტრფილია; თვით დიდი ლექსიდან სწავლობს მღვ-დაუტანებლად იმ ადგილებს, რომელნიც მართლად მარგალიტივით ჩამოკრებული არიან. ცალკეეპე გაურცელებული მეთრე ხანდა:

„ერეკლემ ცხენი გავქუსლა,
ცხენს სო გავდგა ჩაფანი,
ავსო სევი სეკ-სევა,
ცხენს უსეკლავდა ფაფარი,
ერეკლემ გაცხა მოჰკლავდა
მისი ცხენისა ქაქანი“

თ. რ — ლი


ყვენობის კულდი

მის არ უნახავს და თუ არ უნახავს, არ გაუგონია მანც „ყვენობა“; დიდ-მარხვის პირველ ორ შაბათს ტფილის-ქალაქი მხოლოდ იმითი იყო ხოლმე გატაცებული, მით უფრო, რომ „აკრიტიკ“ თან მოსდევდა. ეს კრიტიკი შევენიერადა

აქვს აწერილი თავადს დავით ბებუთაშვილს. დღემდის, თითქმის, არ არის გამოკვლეული, თუ რას ნიშნავს ეს ჩვეულება? და ან როდის შემოიღოთ? ზოგი ხოჯა-ხნობას აწერს, ზოგი მან-აბაზს და ზოგი თამაზ-ხანს. გიორგი წერეთელი კი ამტკიცებს, რომ მურვან-ყრუს შემოსევადან არის შემოღებული. როდესაც უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში, ცხადია,

რომ ყვეს დასცინიან. როგორც ვიცით, მთელი ქალაქი ორ უბნად, ანუ ორ-მხარედ იყოფებოდა და ერთი მეორეზე მიდიოდა. დამარცხებულ ყვეს მისი მასხარებით, ანუ პამპულებით, ლაფში აგდებდენ და შერიგებული მოკრივენი კი საერთო ლხინსა მპართავდენ.—ლაფში ამოწუმპული, დამარცხებული ყვენი კი, მისი ამალით ქალაქს გარეთ უნდა გასულიყო, იქ გაემართა ცალკე ლხინი.—ეს ჩვეულება აქედნობა და კრივი“ ჩამოდენიმე ხანია აკრძალულია და ტფილისი ჩვეულებრივად მყუდროებას ევლარ არღვიეს... ყვენობა ვადეარდნილია, მაგრამ ჯერ კიდევ აქმენობის კული“ არ მოშლილა: რას წარმოადგენს ეს „ყვენობის-კულაბა?“ შესანიშნავს არაფერს! მხოლოდ ჩამოდენიმე ქალაქელი ვაჭრები, მიდიან ორთაქალაში და იქ მართვენ ლხინს,—სუფთა მხოლოდ სამარხო საქმელებით არის ხოლმე ატრელებული: ჩვეულებრივის ხამისა, ფლავისა და მწეადების ნაცულად, მოაქვთ ზეთის ბილი, ჯონჯოლი, ღანძილი და სხვა-ნი.—მაგრამ ეს სამარხო საქმელები ლხინს მაინც არ უშლიან ხელს, რადგანაც ღვინოს უფრო კარგათაც ასმევენ. ამასთან აუცილებელი საქროება იყო, რომ ყოველ აქ მყოფ მოქიფეს პამპულას ტანისამოსი ჩაეცვა და ჩაჩი დაეხურა. ეს დაუწყებია ამ ათი-თხუთმეტე წლის წინეთ ერთს ქალაქელ ვაჭარს „აქტი-მოვანედ“ წოდებულს და თავდაპირველ, სნავთა შორის, ერთი კარგი მნიშვნელობა ჰქონდა.—ლხინის ღრას შეხარხოშებული მოქიფენი ჩამოდი-

ოდენ ფულს, აგროვებდენ და მერე იმ ფულით მზითეს უკეთებდენ ვინმე ღარიბ გასათხოვარ ქალს და კიდევ გაათხოებდენ ხოლმე დღეს ეს, თავდაპირველი მიზანი აღარ შერჩენია და იღებენ უმისნოთ... აღერ სოდავგებიც იღებდენ მონაწილეობას და გამოჩენილ პირენსაც (ე. ი. გამოჩენილს რითი? ლითარაშობითა და ქვიფის მოყვარობით) იჩიებდენ ხოლმე. დღამებამდის ქვიფობდენ და მერე კი ჩირადნებით ხელში, ზურნითა და კინტოკრით შემობურუნდებოდენ ხოლმე ქალაქში. წელს ამ „ყენობის კულდზე“ ჩვეულებრივად დიდი ვაჭრები და სოდავარები აღარ დასწრებთან, სულ მეტყაფეები და წერილმანი ვაჭრები იყვენ. მაგრამ მათ ნაცულად სხვა გვარად შესანიშნავ-პირებმა მიიღეს მონაწილეობა და უფრო ბანკების წარმომადგენლებმა.. ფოტოგრაფიას ვადულია იმათი სურათი და საუტხოვო სანახაიცი არიან მოქიფენი ქალაღლის გვირგვინებით თავზე, ანუ ჩაჩებით!.. რომ წესიერება და ცული ყოფილა, ამას ის ამტყეცხს, რომ იქვე თავზე ადვთ მათ პოლიციის ბოქაული, რასაკვირველია, უგვირგვინოთ. ფოტოგრაფია საუტხოვოდ არის გამოსული ასე, რომ ერთი შეხედვისათანავე იცნობ, თითოეულს მათგანს, თუმცა ქალაღლის გვირგვინები კი ადვთ თავზე. ფოტოგრაფიული სურათი იყიდება ბაბალოვის ფოტოგრაფიაში და არც ძვირათა ჰღირს, სულ სამ მანეთად.



ალექსი ჭიჭინაძის პატრივსაცემათ გამართული საკრებულოა მეჯლისი

მოსდგება დაფა-ზურნისა და საყვირის ცემა, რომელიც დიდი ზართა და ზემით ჩაივლის ხოლმე; მაგრამ უკან მაინც ჩალა-ფუჩჩის მეტი არა რჩებარა მ-სასხენებლად. ა. ჭიჭინაძემ 1857 წელს დასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის კურსი იურიდიულს ფაკულტეტზე. მაშინვე რომ სამსახურში შესულიყო, მიუცილებლად ახლა დამსახურებული წერი მაინც იქნებოდა რომლისამე ჩვენის ოლქის სასამართლოსი; მკერად მრაველი ორდენებით ეწმზობდა დაშენებული და ამა სოფლის ცხოვრება ბევრად უფრო დამტბარი; ის არ იქნებოდა უღროოდ მოხუცებული, როგორც არის ამ ეამად. მაგრამ სამშობლოს მემსხერალებობით ვატყებული მისი მაღალი სული არ ეძებდა არც გარეგნობით გამჩწყინებულ მღვდმარეობას, არც ხერხით მოპოებულ განცხრომას. ჩამოდდა თუ არა რუსეთიდან, იმან გუდაველი თვლი ჩვენს ბნელით მოსულს ნორჩის თაობის მღვდმარეობას და გადაწყვიტა გულში, თავი შეეწირა ჩვენი ღარიბი სოფლის ბაშულში,



პრილის 30 ერთს კარგათ მოწყობილს მეჯლისის ბაღში შეკრბენ ალ. ჭიჭინაძის მოღვაწეობის პატრივისცემელნი და გულ-მხარულად გაუმასპინდლენ, რომ გზა დაელოკათ მისთვის ახალი მოღვაწეობის ასპარეზზე.


რაც უნდა ცული ითქვას ახლანდელს ქართველთა ზნობრივს მომდუნებაზე, ერთი მაინც კარგნიშანი ატყვია ამ ჩვენს თაობას. მას ეტყობა გამოფხიზლება და მკვირცხლად თვალყურის დევნება თავის მოღვაწეებზე.

ალ. ჭიჭინაძის ღვაწლი წარსულში სწორეთ შესანიშნავია. ამ შემთხვევაში, იქნება, ის ერთად ერთი მავალითიც იყოს ჩვენს ახალმოდგმის ფერგადაცული თაობაში. მისი ასპარეზობა არ ბრწყინავდა გარეგანი ელვარებით, მის მოქმედებას არ

ბის აღზრდისათვის. მან გახსნა ქუთაისში 1857/76 წ. კერძო სკოლა საგემნაზიო მოსამზადებელი. უნდა წარმოიღვინოთ, რა დაბრკოლება, რა ტანჯვა, რა მწუხარება მოსდევდა ამ საქმეს ნამეტურ ქუთაისში, სადაც სწავლის მსურველი ჩვილი თაობა მრავალია, მაგრამ ყოველად ღარიბი და ნივთიერ საშუალებებს მოკლებულნი. ჰიჭინაძე ოთხი წელი ებრძოლა ასეთს სიღატაკს თვით ღარიბი და მშვიტ-მწყურ-რავალიც; მაგრამ რაკი წმინდა მოვალეობის უღელი იყისრა და დაიდგა თავზე თავის მოძმეთა შვილები განათლების გზაზე დაეცენებინა, მას ამ მიზნი-

მე ეტოვებ სკოლის მასწავლებელთ შორის ბევრს ჰაბუსსა და იმედით საესე ხელმძღვანელებს სკოლისას. მე დარწმუნებული ვარო, რომ ისინი კიდევ ჩემზე უკეთ წაიყვანებენ ამ სკოლის საქმესო. მე ვეცლებიო სკოლას არა გულ-მტკივნეულად, არამედ გულ-დაწყვეტილი, რომ ასეთს ჩინებულს მუშაკთა შორის ამიერიდან ევლარ ვაგიზარებ შრომისო. ბევრმა იქ დამსწრემ გამოარჯევ ალ. ჰიჭინაძის სხვადა-სხვა მხარე საზოგადო მოღვაწეობისა, მაგრამ აკაკის სიტყვამ მაინც მომეტებულათ გაიტაცა იქ დამსწრენი:

„სამოცს აქეთ—წარმოთქვა აკაკიმ—ავერ ოცდაათ წელიწადზე მეტია, რომ თვალ-ყურს ვადევნებთ ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას და უფრო კი იმათ, ვისაც ეს ცხოვრება მოძრაობაში მოჰყავთ ე. ი. ახალთაობას, ანუ ინტელიგენციას.—იქიდან აქამომდე, ამდენი ხნის განმავლობაში, ერთი რამ მოვლინება შეგვიჩინავენ თავში სასის ხარულიო, მაგრამ ბოლოს კი სამწუხარო: ჯერ არ ყოფილა მისთანა ახლავაზდა ქართველი სამშობლოზე მოშორებული, რომ იქ უცხო ქვეყანაში მოკიქულებრივი განძრახებით არ ყოფილიყოს გამსქველუნი და თავი მსხვერპლად არ



ალექსი ჰიჭინაძე

იმ დრომდე, სანამ ქუთაისის თავდაზნაურობა არ მიეშველა და თავის საკუთარი სკოლა არ ჩააბარა არჩეულ მოღვაწეს. ჰიჭინაძემ თავის სკოლის მოწაფენი მრავალ სხვა მოწაფეებთან ერთად სათავდაზნაურო სკოლაში დააბინა და იყისრა მათი აღზრდა. ქუთაისის სათავდა-ზნაურო სკოლა რაკი ფეხზე დაყენა, შემდეგ 1886 წელს ის მიიპატივეს ტფილისის სათავდა-ზნაურო სკოლის ზედამხედველად. ჩვენ აქ არ მოვიხსენებთ, რაც ღვაწლი დაჰდგა ალ. ჰიჭინაძემ ტფილისის სათავდა-ზნაურო სკოლას. ეს დღეს ყველას თვალწინ გვდგას.

ერთმა ქართველმა სოფლის მებატონემ გვიამბო, თუ რა გაოცებით და თვალზე ცრემლით შეიცხადეს დედ-მამებმა და პაწია მოსწავლე ახალთაობამ: რა გვეშველებაო, რომ ჩვენი ალექსი გვეცლებო, მისი მამობრივი აღერის და ნუგეში აღარ ასი-სოცებლებს ჩვენ სათავდა-ზნაურო სკოლასო, ბევრს ჩვენგანს გული აუჩუყდა, როცა თვით ალ. ჰიჭინაძე გამოაკეთებოვა შემდეგი საკრძნობელი სიტყვებით: „მე იძულებული შევიქეინი დამეტოვებინა სათავდა-ზნაურო სკოლა უფრო იმისგამო, რომ მეტად დაეუსტუტიდა და ღონე გამოემლიათ. როგორც მე მსურს, აწ ისე ვეღარ ვუწინამძღვრებ სკოლას. და ამისგამო ჩემი იქ დარჩენა ამას შემდეგ ჩემი სინილის წინააღმდეგ იქნებოდაო, მით უფრო, როცა ევკრძნობო, რომ

ემზადების დღეს დაქვეითებულ სამშობლოსათვის. —მაგრამ ჩამოსვლისათანავე ჩვენი უკულმართი ცხოვრება წინ ეღობებოდა მათ სურვილს, გულს უტეხდა და უნებურად ატოვებოდა მათ, წინდაწინ განძრახულსა და არჩეულ გზას.—ბევრი არიან დარჩენილა მასთან, რომ იმ თვლიდან ამ თავამდის, გამარტებულიყოს და არ გადაეხვიოს იმ ეკლიან, მაგრამ მაინც საიმედო გზიდან.—რიცხვი მათი ცოტადა და მათში კი დიდი საჩინო ადგილი უჭირავს ბ-ნ ა. ჰიჭინაძესა. ამ ოცის წლის წინეთ ჩამოვიდა თუ არა ჩვენში, მაშინვე აირჩია ერთი უკეთესი სარბიელთაგანი ჩვენის ცხოვრებისა, სარბიელი პედაგოგიური.—ჩვენს წინაპრებს, სხვა ბევრ კარგ თვისებასთან ერთად ერთი კარგი ისიცა ჰქრდათ, რომ სწავლა-განათლებას ჰეშმარბიტი თვალთ უყურებდენ.—არც ერთს ასაარეზზე არაფერი მოღვაწეს ისეთ

პატივს არა სცემდნენ და არ აფასებდნენ, როგორც მათ, ვისაც ხელში მათი შვილების ხორციელ-სულიერი აღზრდა იყო: იმთა უწოდებდნენ სასოებათ, მოძღვრებათ!.. დღეს კი გარემოებამ ისე მოიტანა, რომ სიტყვა მოძღვარი აღარ გვემის და ჩვენის შვილების აღზრდელებს, მასწავლებლებს „ოსტატებს“ ვეძახებ, ვამბობთ, ვამბობთ, მოხერხებულს და პირობების მიმდევარ კაცსაც ნიშნავს!—ამ გვაირ ოსტატების რიცხვი დღეს მრავალია ჩვენში, მაგრამ ბ. ჭიჭინაძე კი, იმ დღიდან აქამომდე მოძღვრად გამოდგა და შერჩა ჩვენ შვილებს. ესეც ხომ არ აკმარა თავისთვის და მარტო ერთს სპეციალურ ასპარეზს არ დაჰჯერდა. ჯერ არ ყოფილა იმისთანა მოვლინება ჩვენ ცხოვრებაში, რომ ვეცე მონაწილე ამ ყოფილიყვას, თუ საქმით ერთა, სიტყვით მაინც!., სათანადო გრძობის კეთილ გულს უჩვენებდა ხოლმე და საზიზღარს ზურგს.—დღეს ჩვენში ამ გვაირ პირდაპირობა იგივე მოღვაწეობაა და სამწუხაროა, რომ ბ. ჭიჭინაძე ჩვენში, ჩვენთან ერთად აღარ იქნება!—დღეს გამოსათხოვრად აქ ერთად შეეკრებილა ერთი და ეს შეკრება არც ბალტასარის მეგობრის მოგვაგონებს, არც ფარისევლების ლხინს... ეს არის პატარა ძმური და მეგობრული სერობა, აზრდილი იმ სერობისა, რომელიც გამართული იყო გეთსამანიის ბაღში, სადაც სისხლად და ხორცად გადაქცეულმა პურ-ღვინომ გაამტკიცა მრავალი იმედი. ყველამ იცის, რომ იმ სამწუხარო სერობას თან მოჰყვა საგლოვიერო

გოლგოთა, მაგრამ ორივემ ერთად კი გამოიწიეს სამხიარულო, მკედრებით აღდგომა და სასიკაძულო ამაღლება!..ამ ოთხივემ ერთად განახორციელა ახალი აღთქმა და იერუსალიმით გაისმა „ქრისტე აღდგა“ და ყოველი კუთხით ბევრ ქვეყნებშიდანაც მისცა პასუხი: „ჰეშმარიტადო“. ვისურვოთ, რომ ეს ჩვენი სერობაც მტკიცე და სიმბოლო იყოს და ჩვენი „გოლგოთა“ ნაყოფიერი, რომ მოგვიახლოვან საქვეყნო მკედრებით „აღდგომა“ და „ამაღლება“. ვისურვოთ აგრეთვე, რომ მსოფლიო „ლიტანიების“ დროს ბ. ჭიჭინაძეს ჩვენთან ერთად ხელში ბრწყინვალე კელაბრით „ქრისტე აღდგა—ჰეშმარიტათო!“—მაღლი ხმით წარმოეთქვას.

ეს სადილი არ ჰკავდ იმ სადილებს, რომელსაც უყუთებენ ხელ-ქეითინი ვინმე კეთილ სინდისიან მოხელეს; არა, ამ სადილზე გამოთქმული მაღლობა თვით ერას საშობად იყო გამოსული და ამითი შეიქნა იგი ფსაღუდებელ გვირგვინად აღ. ჭიჭინაძისთვის. იმ დღეს ყოველს საქართველოს მოღვაწეს წრფელი მზიარულებით უნდა აღესებოდა გულთა, ახალი ძალით და იმედებით უნდა აღორძინებულიყო მრავალი გაკრებებით გარემოცული მისი ცხოვრება. ამიერიდან ვახიაროთ თქვენც ქველსმოქმედნო და ტანჯულნო ამა ქვეყნისა; ეს არის მოიწია ვაჟი, როდესაც სამშობლო ქვეყანას თვლი უკვე აქეთ თქვენზე მაჰყარბილი და გიმზადებთ უდიდეს ჯილდას, ვიდრე შესაძლო არს მიღებად ძლიერისაგან ამა სოკულისა.

თ. ილია ჭავჭავაძის ლექსები

(ტომ. 1. 1892 წ.)

მეკობევის შინაშენები



აველი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი (ლექსები) რომ დაიბეჭდა ქართველთა აზნაურობის მიერ, ჩვენ ეს წიგნი თავიდან ბოლომდის ყურადღებით ვადავიკითხეთ და თანაც დაენიშნეთ ადგილები, რომელნიც რისთვისმე საყურადღებოდ მივაჩინა. ჩვენ გეწაღია ეს ჩვენი შენიშვნები ვაუწყებოთ ქართველ მკითხველებს, უკეთ ეთქვათ, ვიკისროთ უსიამოვნო შრომა. ჩვენ ამ შრომას უსიამოვნოთ იმტომ კი არ ვეწოდებთ, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებანი საყურადღებოთ და საგულისხმოთ არ მივაჩინდეს.—პირიკით, ისინი ქართველ კითხველისათვის ფრიად საინტერესანი უნდა იყვენ

და არიან კიდევ, როგორც სახელ-მოხვეჭილი მწერლის ნაწარმოებნი.—არა, ეს შრომა პირადად ამ შენიშვნების დაწერისათვის არის უსიამოვნო, რადგან მას კარვით ესმის ხალხის ამ თქმულობის სინამდვილე: „მართლის მოქმელს, ცხენი შეკაზმული უნდა ყავდესო.“ ხოლო თქვენს უმოჩინოებს მონას, პატრიცკეშული მკითხველო, მით უფრო მეტი უსიამოვნება მოგლის, რომ მართლის თქმას შემდეგ მას შეკაზმული ცხენი არც ყოლია და არც ყვოლება. ჩვენი გულითად სურვილი ის არის, რომ ჩაიხე სარგებლობა მოვეტაროთ მკითხველებს ჩვენი შენიშვნებით. და თუ ამ მიზანს ოდნაც არის მივალწით, მაშინ ჩვენ პირად უსიამოვნებას ჩხირათაც არ ჩაეჯდებთ.

ილ. ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომში მოქცეულია ჩვენის პოეტის წყობილ-სიტყვაება, მ. ი. ლექსათ დაწერილი თხზულებანი და ისინი დაწერილი არიან წლების ეკალაბიზზე.

ჩვენც ამ წუბანს მიყვებით, თითოეული წლის თხზულებებს ცალ-ცალკე შევცნებით.

1857 წ.

ამ წელში პოეტს დაუწერია სულ ოთხი ლექსი, სამი ორიგინალური და ერთი თარგმანი.

პირველი ლექსით („ყვარლის მთებს“) პოეტი ეთხოვება თავის სამშობლო მთებს. გულის სატრფიალო საგნის მომლოაბა, — სულიერი იქნება ეს საგანი, თუ უსულო, — იმისთანა გარემოებაა, რომელიც არა პოეტსაც ძლიერათ აუტოკებს გულს და აუფრთოვანებს ოცნებას და პოეტს ხომ — რაღა სათქმელია! „ყვარლის მთებში“ ბევრი გრძნობაა გამოთქმული, მაგრამ ეს გრძნობა, ჩვენის აზრით, ერთობ განზეიანდებულია, სიტყვები სჭარბობს გრძნობის ძლიერებას და მით აფერკმრთალებს წრველ სიყვარულს. 16 წლით ჩვენ პოეტზე წინეთ გრიგოლ ორბელიანმა აგვიწერა გამოსალმებავს მწვეფი წუთები ლექსში „სალამო გამოსალმებისა.“ მაგრამ რა დიდი განსხვავება ამ ორ ლექს შორის! „სალამო გამოსალმებისა“ როცა წაიკითხავთ, გული ისე არ დაგიმშვიდდებათ, თუ მეორედ, მესამედ და მრავალჯერ არ წაიკითხვთ. ამის მიზეზი ის არის, რომ პოეტი მრავალ გრძნობას აგვიძიავს გულში და იმით გამოსახატავდ ბევრ სიტყვას არ ხარჯავს: ალბათ კარგათ შეუგნია პოეტს რუსთაველის მოძღვრება: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგია.“

„ყვარლის მთებში“ კი სიტყვა ბევრი იხარჯება და გრძნობა კი იმდენად ძლიერი არ არის, რომ სიტყვათა სიმრავლე ჰქლიოს და დიდხანს გასტანოს: ჯერ კიდევ სიტყვების კითხვა ეერ მოგისრულებიათ, რომ გრძნობათა მღელვარება უკვე დამცხრალია და გულის ტოკვა შეჩერებული. ეს არის მიზეზი, რომ ამისთანა ლექსისა და თხზულების მეორედ წაკითხვას გული აღარ ითხოვს.

აი, როგორ გეხატავს განშორების უკანასკნელს წუთებს და გამოსალმებას ეს ორი პოეტი: ილ. ჭავჭავაძე:

„ყოველი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მავროებს,
ყოველი წუთი გკარავს თქვენა და მეც მარბლებს...
აერ თქვენც ჰქრებთ თან-და-თანა თქვენსა მწვერვალსა
ძლიეს ვარჩევ... წუთიცი!.. ხოლოდ-ღა ესტერტე ცი-
აგსა ცასა.

ამაღ ვებძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს და მოუსვენრად ვატანტალეგვ* მწუხარს თელსა ჩემს!..

თქვენი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენიერად ცას აღარ ამკობენ ერთ ნაირს ციავს კამარას!..
მშვიდობით, ჩემო, თელში ცრელით განებებ თავსა...
უსწავთეიდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვა-
ლსა,
კვლავ გაგიღიმებთ შორ ჭექვიწინამ თქვენ ჩემი სული და დამწყვეტსა სიყვარულით ფეთქასა გული.“

გრიგოლ ორბელიანი:
„ეტლი რბის... სატფოც მშორადების, თან სდევს ჩემი მას სული.

ემზერ... შორს ძლიეს-ღა სჩანს... აღარ სჩანს... რა-
დასა ვუზმერ შმაგ-ქმნილი?
სიშორის ნისღმან მიფარა თვალთავან ეტლი მინ-
შარბოლი,
და გულით ოზერა სიმწარის აღმოუტევე უნებლი..
მშვიდობით! ეინცა დამატკვე სიცოცხლის ნეტარე-
ბითა,
აწ ეისთვის გული მიყენისს, სული სწუხს განშორე-
ბითა,

ის ხილვა აღარ შემოსავს სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს აღერისს ხმითა ტბილითა.“
რეა ტავებით გრიგოლ ორბელიანმა, როგორც ხედავს მკითხველი, უფრო აატოკა ჩვენი გული, ვიდრე ილია ჭავჭავაძემ თორმეტი ტავით. ეგებ ეინმე ამ ორის ლექსის საგანთა სხვა-და-სხვაობაზე მიგეითათოს, და მაშინ ჩვენ უნდა ეთქვათ, რომ თუ სიყვარული წრუელია, სამშობლოს ადგილების მოშორება არა ნაკლებ აგეიტოკებს გულს, ვიდრე სატრფიალო ადამიანის მოცილებთა... სამართლიანობა მოითხოვს, აქვე ეთქვათ, რომ გრიგოლ ორბელიანი ზემოხსენებული ლექსის დაწერის დროს საკმაოდ დახელონებული უნდა ყოფილიყო მწერლობაში, და ილია ჭავჭავაძე კი 1857 წელში ახლად გამოსული იყო სალიტერატურო ასპარეზზე.

მაგრამ საქმე ის არის, რომ პოეტმა შინაარსს გარეგანი ფორმა და ენა შეუწონოს და ისე დაეცხტოს რომელიმე საგანს. ამ მხრით ჩვენ ეთ. ილია ჭავჭავაძეს მალთა ეერ დაეყენებთ. ამ პატარა ლექსშიც („ყვარლის მთებს“) საკმაო ბევრია მუსიკისა და ენის წინააღმდეგი ფორმები:

- 1) „ცას დაღუპული,“ უნდა იყოს „ცაში დაღუპული,“
- 2) „ენატრობდი ხოლმე, რო ჰკვიყო სუბუქსა ქარსა, ან თავისუფალ არჩეისა ძლიერსა ფრთასა (ფრთასა ენატრობდი, თუ ეცხობ?), რომ აღმოგფინინდე და შკვიოს თქვენს ამაყ თავსა.“ ენატრობდი, როდე კვსკვიო, აღმოგფინინდე და შკვიოს სრული უკანონობაა, დროთა შეუთანხმებლობაა, რაიცა ხშირათ შეგხედებთ ჩვენის პოეტის ნაწარმოებში. უნდა ით-

* თულის ტანტალეგვ ზღარ გავგეგონიან.

ქვას: ენატრობდი, რომ ესეველი, აღმოაჩინებოდა და შეგებოდი.“

3) „მჭიფიერი ქარნი“: მძაფრი ქარი კი გვესმის, რა არის, და მჭიფიერი ქარნი ვერ გავიგებთ, სიტყვა მძიფიერი ჩვენს ლექსიკონში არ მოიპოვება.

4) „თელაში ცრემლით განებებთ თავსა“ — რუსული გამოთქმაა (со слезами на глазах).

ამას უნდა დაუმატოთ იმისთანა რითმები, როგორც მაკალითად: „ჩემს ცრემლს—ნუგეშს“, „პატივის სისქეს—მწუხარს თელას ჩემს“ (სად არის აქ რითმა? ნუ თუ მარტოს?) და მრავალი სხვა; აგრეთვე უწმინა, არა მუსიკალური გამოთქმანი: „დამწყობისცა“, „მე-მარხება გულში“ და სხ. ყველა ეს ნაკლულევიანება რომ მივიღოთ შედეგობაში, უნდა დამეთანხმოთ, რომ, რაც უნდა კარგი შინაარსი იყოს, ამგვარი გარეგანი ფორმა მეტის-მეტათ დაამახინჯებს მას.

ლექსი „სანთელი“ არაფერს წარმოადგენს ახრით და ფორმაც თავის შინაარსის შესაფერის აქვს: „აწ მიწურვილა (თუ მიწურულა?) გასაქრობლადა,

შანდლისა თავზედ ძლიერ-ძლიელა ბეჭუტავს ხან ჩაქრება და ხან მნათობლად კელავ შანდლიდამა წამოიხედავს...“

და კიდევ:

„ლაჯვარდად ქმნილი სუსტი სანთელი შანდლის ჯურღმულში თავსა ანარცხებს.“ ასე გვისურათებს პოეტი სანთლის ჩაქრობას და ბოლოს ათავებს შედარებით:

„ეგრედაც კაცი ძლიერი ქრება, რა ეწევა მას სიცილილი მტერი“—ო და სხ. ერთობ ულახათო შედარებაა.

„ჩიტი“ (თარგმანი:—რატომ არ აცხადებს აეტორი, თუ საიდან უთარგმნია?) შეტანილია ჩვენს სკოლებში ქართული ენის პროგრამაში, მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, თუ როგორ ურიგდებთან პაწია ბალღები ენის ამისთანა მიმე ფორმებს:

„ყოელთ უწინარეს“, მშვენიერთ ყვავილთ შორისა ევადებთ, „განს მიტერენ მცირის მახითა, მატყუილუბენ რა ხორბლის მარცელითა“!..

„ხმა სამარინდა“ წარმოადგენს მდივანბევის, ხალხის მცარტყელ-გლეჯელის აღსარებას, თუ როგორ ეყარობოდა ის გაჯავრებული აღმიაინებს და უსამართლობით ზრდიდა და ტენიდა თავის ჯიბებს. ჩვენ პოეტს, როგორც ჰანს, სატირიულ კილოზე მოუწყვია თავისი ჩანგი, მაგრამ სატირის მაგიერ, მდივანბევის ბოროტ-მოქმედების მშრალი ანგარიში წარმოუდგენია მკითხველისათვის. სატირის ნიშანწყალი ეტყობა მხოლოდ ორ ტაქსა:

„ჩემი ჯიბე ეტენე, მტენე, ისე მოკველი, ვერ გავტენე“ აბა, რა სატირია:

„იხრობოდა, კაცს ეხედავდი, მე შემეძლო მის მოჩინვა:

მის მოჩინვას (კიდევ მის მოჩინვას!) გავებედავდი, თუ მესმოდა ვერცხლის ზუნა (ზუნა—ლიცენ-ცია!)

თუ არა და ხელსა ცკრავდი, და მას წყალში მე ჩაეკლავდი, ბევრსა საქმეს ამის მსგავსსა მე ეიქმოდი მეტათ კარგსა.“

გთხოვ, მკითხველო, მოიგონო, რაცა ეთქვით ლექსთწყობის შესახებ, რაცა „დმიტრი თაუდადულო“ გავარჩიეთ. ჩვენს პოეტს ხშირად აქვს დაბლა და დაბლა ლექსი ერთმანეთში არეული, რაცა დიდ ნაკლულევიანებას შეადგენს ლექსწყობაში. ამ ლექსშიც ბევრგან არის ცეზურის კანონები დარღვეული: „ობლის ევადება, ტირილი ჩემთვის იყო გაუგებრად“ (თუ გაუგებარი?) აქ პირველი ტაქტი დაბალია და მეორე—მაღალი.

ასე არეული ცეზურა ამ პატარა ლექსში შეგებდათ სულ თოთხმეტჯერ.

„შეიბრალებთ ჩემი გვაში...“

თუ ოდესმე ეინმე მწახეთ, საიქიოს თუა ქრთამი, გამახარეთ, ჩამომძახეთ “.

„მწახეთ“ აქ შეცდომაა,—უნდა იყოს „მწახოთ“

არ გვესმის, ამ ხანაში რა უნდა ეთქვა პოეტს: განა თვით მდივანბეგი საიქიოს არ ყოფილა? მაშ საქიოს იყო? ვერ გავიგებთ: მკვლარი იყო, თუ ცოცხალი?!

ამგვართ, 1857 წელში ჩვენს პოეტს ციხე-გზენილობა არ ეტყობა, მაგრამ მკითხველი გულს ნუ გაიტებს, რადგან 1857 წელში ილია ჭავჭავაძეს აღბად ახლად აღებული ჰქონდა ხელში კალამი. შემდეგ წლებში შეხედება მკითხველი ჩვენს პოეტს უკეთეს ლექსებს და თუ იშვიათად შეხედება ბრალს ჩვენ ნუ დაგვდებს.

სილოვან

ყ ა ზ ა ლ ი

(მოთხრობა)

III.

მ ანწმობის დრო მოატანებელი იყო. თვედორე გარდახვეწილადის ცოლი, ახალ-ვაზდა ილიკოს დედა, შუა ცეცხლს უჯდა და გარშემო შემოწყობილ კეცებზე დაკრულ მჭადებს აბრუნებდა. ხან ერთს გვერდს მჭადებისას მიუშვებდა ცეცხლს და ხან მეორეს, ხან იქვე კერის ძირში მოჩუხჩუხებ პატარა ქოთნით ლობობის გადახდიდა ნატეხარს *) და სულს ჩაუბერებდა ან ცივ წყალს ჩაუმატებდა, რომ ლობობი არ ჩასულიყო. ენწამიცი ეს არის, მზადდებდა და ილიკო მაინც არ ჩნდა; დედა მისმა დაიწყო აშფოთება. ბოლოს განისკარს მიადგა და გადაძახა მეზობლის შვილს:

— გოგი! შვილო, ჩემი ილიკო რა იქნა? რათ დაიგვიანა იმ გადასარდელმა ასე. ამდენი ხნის მუშაობა ვაგონილია? როგორ არ იცის, რომ კვირა ძაღმა მოაწია, დღეს აღერ უნდა მოსულიყო.

— ბიკო, ილიკო სამუშევრიდან აღერ დაბრუნდა. წელან თქვენ ეზოში ურემს აწყობდა და საღაცა აპირებდა წასვლას.

ამ სიტყვებს შემდეგ ილიკოს დედა გამობრუნდა, მჭადები შემოაბრუნა და იმდროს ეზოს ქისკარშიც გაიხმაურა. ხმაურობაზე კვესია-ძალი მივარდა, თავიგებურად დაკეცსა, დაქექა და როდესაც თავისი პატრონი ილიკო იცნო, კუდის ქნევით, ლაქუტით მოეაღერა. ნახევარ საათს არ გაუფლია, რომ შუა ცეცხლის პირას გძელ ხის სუფრას გარს უსტდენ ერთი მხრით ილიკო, მეორე მხრით კი ილიკოს დედა და ცეცხლის ალის სინათლეზე ენწამს შეექცეოდა. ამ ორ არსებთან შორის ისეთი დემილი და მყუდროება სუფევდა, რომ ყუცხო ადა-მიანს ეგონებოდა: ან ერთმანეთს არ იცნობენ, ან წახებებულნი არიანო. ამ გვარ ღუმილის და სიმყუდროეს დრო გამოშვებით მხოლოდ ჭრელ-თვალეზა კატა არღვევდა და თავის ვანუწყებულის ღრუტუნ-ქნავილით ილაჯს იწყებდა. ილიკო რაღაც დადარბიანებული და გაუაერებული გაღუფდებდა მჭადის ნატებს და თან დაატრანდა:

— ჰა, შე ბედ მკვლარო! რაღა დღეს აიდგა ხმა ამ სიყრმე მკვლარმა?! არ იცის, რომ მის ქვიფზე არა ეარ?! იიიმე! აი, დასწყელოს სამას-სამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ?!

— რა იყო, შვილო, ხომ არაფერი შეგიტყვიდა? ვამა შენის ამაზე ხომ არაფერი იცი? შვილო, ის, რაღაც მოწყენილობას ვატყობ, მაგრამ შიშით ვერ

მივითხამს. უწინამც წმინდის გიორგის რისხვა მოხედეს დედაშენს, ვიდრე დანაწილიანებულს გბედადეს, მითხარი, შვილო, რაზე ხარ ავრე მოწყენილი?

— რაზე ექებები, დედა! არ შეიძლება, ოჯახში გლეხმა კაცმა მოიწყინოს? სადარდელი არაფერი აქვს ჩემს ოჯახს თუ?!

ილიკოს დედა გამოცდილი ქალი იყო. მის გულს ქირიცი ბეგრი გამოუტყდა და ლხინიცი. ეკვის თვლით ვადახედა შვილს. სუფრა აიღო, ერთ კუთხეში მივიდა, დაჩოქა და პირჯერის წერაში ცხატრე ცრემლებით შეეადგრა ღმერთს თავისი ბედკრული ოჯახობის გამობრუნება.

ილიკომ ნაეხშმევს ხარებს დახედა, ჩალა ჩაუყრა ბაგაში და რამდენსამე ხანს შემდეგ ტუბილ მოსვენებას მიეცა მთელი ჯალაბობა.

მეორე დილას მტრედის ფრად იქნებოდა თენებელი, რომ ილიკოს ერთგულმა დარაჯმა — კვესიამ მორთო ყველა და წუწყური. ძაღლის ყეფაში დრო გამოშვებით მოისმოდა კაცის ძახილიც:

— ილიკო, ეი, ილიკო!

— ეინ ბრძანდები—გაისმა სახლიდან დედაკაცის ხმა.

— შინ არის?

— შინ ვახლაესთ, ბატონო! უპასუხა სახლიდან დედა.

ილიკო და დედა მისი ერთად გამოვიდნენ ეზოში, საღაც პეტრია ნაცვალი და მაზრის უფროსის ჩაფარი იდგენ.

— ნახალიცი გიბარებსო, დღეს უსათუოდ უნდა გამოცხადდე მასთან.—უთხრა ნაცვალმა.

— კი, ბატონო, მოახსენეთ—გვიხალბებით-თქო“ უპასუხა ილიკომ. ნაცვალი და ჩაფარი ისევე უკან გაბრუნდნენ.

ილიკომ კარვად იცოდა, რისთვისაც იბარებდა მას მაზრის უფროსი, მაგრამ სახრალო ილიკოს დედს კი ყოველთვის გული უძიებებდა, როცა პეტრია ნაცვალს დინახავდა, რადგან ხშირად დადიოდა თვედორეს ოჯახში და თვალ-ყურს ადევნებდა, რომ შეეტყო მოდის თუ არა შინ, თვედორეო. დღესაც, რასაკვირველია, დიდი ტანჯვა და აღლეგება გამოცხადდა...

კოტა ხანს იქით ილიკო მაზრის უფროსის ოთახში იდგა. ენატრანე ქარქვეტაშვილის ბეჭზე ხელი დედო მისთვის და აღერსიანად ეკითხებოდა:

— სადაური ხარ, ბიჭო?

— მე, ბატონო, აქვე სოფლიდან ვახლაყარ.

— რა გვარი ხარ?

— გარდახვეწილამე.

— სახელი შენი?

*) ნატეხარს ქოთნის თავსახურაჲს კმასიან

— ილიკო, ბატონო.

— მამა შენს რა ერქვა?

თვეღორე, შენი ჭირივი.

— ჰოოო... თვეღორე... თვეღორე.. გარდახვე-
წილაძე... ჩაფიქრდა ეახტანგი. შემდეგ მიუბრუნდა
და უთხრა:

— მთელი ჩემი ოჯახი დღიდათ დავალებულია
შენი ვაჟ-კაცობით და პატიოსნებით. ჩემი ქალი
გადაგორჩენია სიცილილს. რისთვისაც, როგორც მე,
ისე ჩემი ოჯახი დიდი მადლობალია შენი. მარტო
მადლობასაც არ დაგაჯერებ. ვერცხლის მეღალზე
წაგადგენ და ვეცდები კიდევაც მოგივიდეს.

— დღიდათ გმადლობთ, თქვენი ჭირივით, მეღა-
ლზე უძვირფასესი თქვენი ყურადღება და იმედი იქ-
ნება, ბატონო, ჩემთვის.

რასაკვირველია, ამ დღეს შემდეგ მე მხედვე-
ლობაში მეყოლები ჩემო ილიკო!

— თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, ბატონო,
თუ ინებებთ.

— შენ ისე მელაპარაკები, რომ რაღაცას თხო-
ვნას აპირებ. აბა, მითხარი, რა გინდა?

— თქვენ თუ-თან მიხედვით, ბატონო, რაც
მინდა გთხოვოთ.

— არა, მე არ ვიცი, რა უნდა მთხოვო?

— რა, ბატონო და... თუ არ გამიჩინებდით... —
შეგდა ილიკო.

— თქვი, რა გინდა.

— რა შენი ჭირივით და მამიჩემის შესახებ მი-
ნდა, გთხოვოთ რამე. თქვენ კარგათ იცით, რომ მა-
მაჩემი, თვეღორე გარდახვეწილაძე ეს რამდენიმე წე-
ლიწინადა, რაც სულ უზრალო საქმისათვის დგენულია,
გადავარდნილია ოჯახიდან. მომეცით ნება ფარულად
დაბრუნდეს შინ, აღარ იქნეს თქვენგან წამებული და
გაცემული.

— აჰ, ეს ძნელი საქმეა, ჩემო ილიკო. ამით მე
შემიძლია ადგილი დავკარგო, რომ გამოვიან, ვინ
იცის, იქნება პასუხის გებაშიც მიმცენ.

— მიხედვით თქვენს ღმერთს! შედით საბრალო
დღეობის მდგომარეობაში, ნუ დაკარგავთ მისს
უკანასკნელს ცრემლს და ერთ ჰემე მიწას სამარის
კარგებში!

— მე არ მესმის, ეს რანაირად შეიძლება. მამა
შენს რომ შინ დაბრუნების ნება მიეცე, ამას ადრე
თუ გვიან ხომ სხვებიც შეიტყობენ. მერე მართებ-
ლობა შეიტყობს. მე რომ არ გავიმეტო, ძალით
გამამტებინებენ. მის გულისათვის სამსახურს ხომ
ვერ დავკარგავ. ჩემი უფროსისაგან საყვედურს ხომ
ვერ მივიღებ და ისე რანაირად მოხერხდება?! — უთ-
ხრა ეახტანგმა ცბიერი ხმით ილიკოს.

— მამე, მიხედვით მავ საბრალო ილიკოს! აუ-
რულე, რასაც გთხოვს! ნუ თუ ჩემი სიკაცხლე შე-
ტად არ გიღირს?! — უთხრა მამას სალომემ.

სალომეს სიტყვებს კვერი დაჰკრა მისმა დედი-
ნაცვალმაც და ეახტანგის გაქავეებული გული და შე-
უზრალელებელი ხსიათი, ცოტა არ იყოს, მოღობა და
კაცთმოყვარეობის ნაპერწკალი ჩაერა მის გულ-
შიაც.

— მოგხედეთ, შეგვიბრალოთ, სიტყვას გაძღვეთ,
ისე ამ გვართვე ფარულათ, კრძაღვით და ქურ-
დულათ არის თავის ოჯახში, როგორც დღემდისაც
დადიოდა, ოღონდ თავის სამშობლო მიწას მიაბა-
როს თავის ცოდვილი სული. — თქვა ეს ილიკომ.
და პირაქვე დაუარა ეახტანგის მუხლების საყო-
ნელად.

— ადექ, ადექ, ილიკო, კარგი, აცნობე მამა-
შენს, მოვიდეს და შინ იცხოვროს... მე არას ვერჩი,
მაგრამ... მაგრამ ფთხილათ კი იყვეს, თორემ... ვინ
იცის?! მშვიდობიანად იყოს და მერე მთავრობასთა-
ნაც უშუამდგომლებ.

სიხარულით გატაცებულმა ილიკომ არ იცო-
და, რა ექნა. მახრის უფროსს მძიმეთ თავი დაუკრა
და შინისკენ გაექადა.

— დედა, დედა, მახრის უფროსმა მამიჩემის
დაბრუნების ნება მოგვცა. ჩემგან დგენული აღარ
იქნებაო. — მხიარული სახით მივარდა შინ ილიკო
და ახარა დედას.

— რა დავსაზრმა, რომ ამგვარი მოწყალემა მი-
ულია ჩვენზე? — ჰკითხა შეიღს დედა.

— რა, დედაჩემო, და გუშინ რომ გვიან მი-
ეგედი, ეს იმის მიზეზი იყო, რომ წყალში მახრის
უფროსის ქალი იხრჩობოდა, გადავარჩინე სიკვდილს
და მის მაგიერად საჩუქრად მამის განთავისუფლებს
გთხოვე, ამისრულა კიდევ.

— მერე რას გიხარია შეიღო? რაეა? შენ და-
რწმუნებული ხარ, რომ მახრის უფროსმა ეგ სულით
და გულით გითხრა?! ნუ თუ არ იცი, შეიღო, რომ
ისინი ამ გვარი ტყბილი სიტყვებით უფრო მეტს
აკეთებენ? ამ გვარი დაპირებით უფრო იქნენ მამა-
შენივით გავარდნილ ყაზაღებს? ვინ იცის, შეიღო,
რომ არ გეცდის, არ ჩამოაკავეანინებენ შენვე და ხელ-
ფეს შეკრულს არ მისცემენ სატუსალოში. ეკვბ იმ
ბედშავს ჩვენც თან გაგვაყოლონ. ასე, შეიღო,
მათ სიტყვებს ნუ ენდობი და მამაშენს ნურასაფრის
შეატყობინებ, თუარა ეს ბედშავი სიკაცხლე კიდევ
უმეტესად მოგვეწამლება! უთხრა შეიღს წუწუნით
მოხუცებულმა დედა.

— არა, დედა-ჩემო! რაეა შეიძლება, რომ მთა-
ვრობის კაცმა, სახელოვანმა ოჯახის შეიღმა სიყ-

თისთვის ლალატით დამაჯილდოვოს? გუშინ მისი ქალი აღელვებულ წყლის ტალღებს გამოველიჯე და სიკვდილს გადაეარჩინე, საჩუქრის მაგიერად მამის დაბრუნებამ გამახარა და რაეა დავიჯერებ თავის პატიოსან სიტყვას გალუდვას და ჩემივე ხელით მამის დასაჭერი ხათვანი დამაგებოს. არა, დედა, მაგი

რა დავიჯერო. რამე ნაირად უნდა შევატყობინო ეს ამბავი მამაჩემს.

— კარგი, შეილო! შენი ნება იყოს. მაგრამ ვაძსოვდეს კი ჩემი სიტყვებიც. — კენესით წაიდუღუნა დედამ. — რაც იქნება, იქნება, რა ეუყოთ.

იპარნანი

(შემდეგი იქნება)

ლაჯვარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ
დანიშნულა დღეს 8 მაისს.

დნებზე და კაზიონი პალატის სადგომთან, სამი ადგილი აგრეთვე გაიციმა იჯარით კიოსკებისათვის აღექსანდროვის ბაღში.

(2—1)

დაპუბლიკი საზოგადოება

ი ბ კ ო რ ი (ღუზა)

ტფილისის ქალაქის საქრედიტო საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ამ წლის თორმეტ მაისს, შუაღლისას, ქალაქის საკრედიტო ბანკის გამგეობის დარბაზში, რომელიც მდებარებს ბაღის (სადოვოი) ქუჩაზე ქუჩარაინციის სახლში, დანიშნულია **საბოლოოდ გამარობა** უპერეტორაკოთ სიტყვიერი შეეპირებით, ან დაბეჭდილ კანქერტების მიცემით, რომ დიდი ხნის ვადით იჯარით გასცენ **ღენიარლ-ლეიტანანტის ტარასატარკის სახლი** და ღუქნები, რომელნიც მდებარეობენ პუშკინისა, ტალახისა და სომხის ბაზრის ქუჩებზე.

უძღვეს და დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა ვანსაკუთობითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლება.

იჯარით გასაცემი პირობები შეუძლიათ მსურველთა შიგნით თვით ქალაქის საკრედიტო ბანკის გამგეობაში ათ საათიდან ორ საათამდის ყოველ დღე, უქმეს გარდა, სამ მაისიდან დაწყებული.


მიიღება ყოველნაირი მოძრაიისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქანლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუზნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების აგენტის აღექსანდრე პეტრეს ძის ზეირივისაგან, რომელიც დგას ევლიამინოვის ქუჩაზე № 2.

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქალაქის დარბაზში ათ მაისს 1894 წელს თორმეტ საათზე დანიშნულია ვაჭრობა ათ ადგილსავეჯრო ფარდულების (კიოსკების) გასაკეთებლად, რომ შიგ ჰყიდონ ზეღტერისა და სხვა გვარი მანდის წყლები; აგრეთვე რძე, კუმისი, კეფირი, პიროცკები, ბულკები, ტარტის ხაჭაპურები, პაპიროსები, კანფეტები, ლიმონები, ფორთოხლები (აპელსინები) და ყვავილები. ეს ადგილები მდებარეობენ გალაინის პროსპექტზე, ერენისა და კანეთის მოე-

ВНОВЬ ОТКРЫТЬ СКЛАДЪ

Посудъ въ башмачномъ и литейномъ ряду; продажа разныхъ фарфоровыхъ, фаянсовыхъ и стеклянныхъ товаровъ по фабричнымъ цѣнамъ въ магазинѣ

Я. А. Давдурова



სპოლი

შ. ა. დ. ა.

დადგა გაზაფხული და დაიწყო ჩვენმა ქალებმა ფეცა-ფეცი, დარბიან მალაზიებში და იმოსებიან

გაზაფხულის შესაფერად. ეს მოდის ნახატი მოვეციდა ახლად პარიიდან და ჩვენის ქალების საუფრადღებოდ დაეხატეინეთ.